

„ქართულ-ოსური სამშვიდობო ინიციატივა“

2019 წელს, საქველმოქმედო ფონდი „ლაზარე“, საქართველოს საპატრიარქოს და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს „ქართულ-ოსური სამშვიდობო ინიციატივა“, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ქვეყანაში მდგრადი მშვიდობის მშენებლობას, ახალგაზრდებში ტოლერანტობის და სამშვიდობო სულისკვეთების გაღვივების საშუალებით.

უნდა აღინიშნოს, რომ ფონდი „ლაზარე“, კათოლიკოს-პატრიარქის უშუალო მხარდაჭერით, უკვე 10 წელია პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად წარმატებით ახორციელებს პროექტს- „ახალგაზრდები მშვიდობისათვის სამხრეთ კავკასიაში“ (დონორი: HEKS/EPER), რომელიც ემსახურება ქართველი, აფხაზი, სომეხი და საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელი მოზარდების ერთმანეთთან დაახლოება-დამეგობრობას, ხოლო „ქართულ-ოსური სამშვიდობო ინიციატივა“ წარმოადგენს მეორე ფაზას, რომელშიც ოსი ახალგაზრდებიც ჩაერთვებიან.

პროექტისთვის არსებითად მნიშვნელოვანია ძალისმიერი მეთოდების უგულებელყოფა და სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებთან მშვიდობიანი თანაცხოვრება. ამასთან, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ კონფლიქტის განახლებიდან დიდი დრო არ არის გასული, ახალ თაობას საკუთარ თავზე აქვს გამოცდილი ომი და დაპირისპირება, პირველ წელს, ეთნიკურად ოსი ლიდერები და მონაწილეები შეირჩევიან ჩრდილოეთ ოსეთიდან, რათა ნიადაგი მომზადდეს შემდეგ წლებში ქართველებისა და ე.წ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ოსების შესახვედრად.

პროექტის ძირითადი კომპონენტია საზაფხულო ბანაკების მოწყობა, რომელიც გაიმართება აჭარაში, კათოლიკოს-პატრიარქის რეზიდენციის ტერიტორიაზე.

ბანაკში მონაწილეობას მიიღებს 50 მოზარდი, 10 დღის განმავლობაში მათ საშუალება ექნებათ გაეცნონ ერთმანეთს ინტერაქტიური დიალოგის, არაფორმალური კომუნიკაციის, კულტურული გაცვლისა და მრავალი სხვა ღონისძიების საშუალებით;

პროექტი მთელი წლის განმავლობაში, ასევე მოიცავს სხვადასხვა აქტივობებს: ტრენინგებს, დისკუსიას-სემინარებს, ახალგაზრდულ ფორუმს და სხვ.